ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ74. 74223202**

თარიღი:**16/11/2022**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების, ასევე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სარგებლობის წესით გადმოცემული და მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონებების დემონტაჟის განხორციელების მიზნით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართი N1-ის შესაბამისად.
2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი დანართი N2-ში მითითებული ავარიული შენობების დემონტაჟის განხორციელების მიზნით.
3. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება

N	ობიექტის დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ²	შენობა-ნაგებობის ფართობი მ²	საწყისი საპრივატი ზღვარ ფასი	აუქციონის პირობა
1	ქ.ტყიბული, ტყვარჩელის ქ.N11-ის მიმდებარედ	ქ.ტყიბული, ტყვარჩელის ქ.N11	39.01.30.075	4275		28 677	ტერიტორიის დასუფთავება და იერსახის მოწესრიგება, ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში.
2	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხიაში მდებარე ყოფილი ფერმის შენობა(ავარიული)	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხია	39.09.28.026	3266	360	19 400	შენობის აღდგენა და ტერიტორიის მოწესრიგება, ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა (სოფლის მეურნეობა, ეკოტურიზმი და სხვა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში
3	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურსები (გელათის დასახლება) მიწის ნაკვეთი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურსები (გელათის დასახლება)	39.07.26.082	942		27 900	ტერიტორიის მოწესრიგება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში
4	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57 (ძველი საავადმყოფო)	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57	39.01.30.018	13310	5574 მ2 და 168 მ2	1 290 000	შენობის დემონტაჟი ან რეაბილიტაცია და ტერიტორიის მოწესრიგება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის განმავლობაში

დანართი N2

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დემონტაჟი

ქონების დასახელება	**მისამართი**	**საკადასტრო კოდი**	**მიწის ფართობი მ ²**	**შენობა-ნაგებობის ფართობი მ²**	**ელ.აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განსაზღვრული საწყისი თანხა (ლარი)**	**პირობა**
ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორპირის ცენტრში არსებული ავარიული შენობა (ყოფილი უნივერმაღი)	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორპირი	39.05.27.281	1075	დაუზუსტებელია	1000	აუქციონში გამარჯვებულის მიერ, შენობის დემონტაჟი (ფუნდამენტის ჩათვლით) უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, დემონტაჟის შემდგომ უნდა მოხდეს ტერიტორიის გასუფთავება ნარჩენებისაგან.
ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის ცენტრში არსებული ავარიული შენობა (ყოფილი საცხობი)	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხრესილი	39.04.24.207	505	დაუზუსტებელია	0	აუქციონში გამარჯვებულის მიერ, შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, დემონტაჟის შემდგომ უნდა მოხდეს ტერიტორიის გასუფთავება ნარჩენებისაგან.
ქალაქ ტყიბულში, თაბუკაშვილის ქუჩა №3- ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობა (ყოფილი საქვაბე)	ქალაქ ტყიბული, თაბუკაშვილის ქუჩა №3	39.01.24.149	5702	დაუზუსტებელია	100	აუქციონში გამარჟვებულის მიერ, დემონტაჟი უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, დემონტაჟის შემდგომ უნდა მოხდეს ტერიტორიის გასუფთავება ნარჩენებისაგან.